

მეკვერცხული მეფრინველეობა

მეკვერცხული ქათმის დახასიათება

ლეგორნი გამოყვანილია იტალიაში პორტ ლივორნოში. დედლის საშუალო ცოცხალი მასა 1,9 კგ, მამლის 2,6 კგ. კვერცხმდებლობა 160-230 ცალი წლის განმავლობაში, იწყება 4,5 – 5 თვიდან შენარჩუნება 87-92 %



ლომან ბრაუნი ოთხხაზიანი ფერად ნაჭუჭიანი კროსია, რომელიც გამოყვანილია გერმანიაში ლომან ტირცუხტის ფირმაში. დედლებს აქვთ ცუდი მოკრუხების ინსტიქტი. დედლის ცოცხალი მასა 1,9 კგ-ია, მამლის - 3,0 კგ. კვერცხმდებლობა იწყება 4,5 თვეზე. წელიწადში დებს 315-320 ცალ კვერცხს





მეკვერცხული ქათმის კვება

საკვების ნორმა არის ენერჯის, პროტეინის, უჯრედანის, მინერალური ნივთიერების, ვიტამინების და სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების რაოდენობა, რომელიც აუცილებელია ფრინველის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. კვერცხმდებელი ქათმის კვება წარმოებს ასაკის და პროდუქტიულობის გათვალისწინებით. ქათმის ექსპლოატაციის ხანგრძლიობა 74-80 კვირა, ანუ 17-18 თვეა. აქედან, 1-17 კვირა სარემონტო მოზარდია, რომლის დანიშნულებაა კვერცხმდებელი ფრინველის შეცვლა, ხოლო 17 კვირის ასაკიდან იგი გადაგყავს კვერცხმდებელთა შენობაში, სადაც ჩერდება ექსპლოატაციის ბოლომდე. სარემონტო მოზარდის კვება იყოფა 4 პერიოდად: სასტარტო, ზრდის, განვითარების და კვერცხდების წინა პერიოდად.

სასტარტო პერიოდი მოიცავს 0-7 კვირას. ახალგამოჩვილ წიწილს საკვების მიღებამდე 2 საათით ადრე ამღებენ წყალს. საკვების მიღებიდან რამდენიმე საათის შემდეგ, უნდა გაკონტროლდეს ჩიჩახვი. თუ ჩიჩახვი მაგარია ე.ი. წყალმა საკვები არ დაარბილა და წყლის მიღება უნდა შემოწმდეს. პირველ დღეებში, საკვებს უყრიან ქალაღზე, რომელიც უნდა გამოვცვალოთ დაბინძურების მიხედვით, იმიტომ რომ წყალი, საკვები და ნაკელი შეიძლება სოკოსა და სხვა ბაქტერიების გავრცელების მიზეზი გახდეს. როდესაც ავტომატურ კვებაზე გადავა, საკვებურში არ შეიძლება ახალი საკვების დამატება, რადგან დარჩენილი საკვები მალე ტემპერატურაზე და სინესტეში გაფუჭებას იწყებს. 7 კვირის ასაკში წიწილმა უნდა მიაღწიოს 530 გ. ამიტომაც საკვებში ყურადღება უნდა მიექცეს ენერგეტიკულ და პროტეინის შემცველობას. ამ პერიოდში წიწილმა უნდა მიიღოს საკვები, რომელიც შეიცავს 19,5-21% პროტეინს, 286,5-292,0 კკალ სამიმოცვლო ენერჯიას, კალციუმს 0,95 -1% და 0,5% ფოსფორს. ამ პერიოდში იხარჯება ერთ ფრთაზე 1370 გ. საკვები.

დაიმახსოვრეთ:

- საკვების უკეთ ათვისების მიზნით, წიწილის მიღებამდე 1-2 დღით ადრე შენობა უნდა გათბეს, განსაკუთრებით იატაკი, რომლის ტემპერატურა არ უნდა იყოს 28 °C-ზე ნაკლები;
- სანამ საკვებს დაუყრიდეთ დარწმუნდით, რომ წიწილებმა წყალი დალიეს;
- შეამოწმეთ განათებულია თუ არა საკვებური და სარწყულბელი, რათა წიწილმა კარგად დაინახოს საკვები და წყალი. თუ დააფიქსირეთ, რომ ფრინველი ვერ აგნებს საკვებსა და წყალს, გაახანგრძლივეთ სინათლის ხანგრძლიობა და ინტენსიობა.
- დარწმუნდით, რომ საფრინველში არსებული ტენიანობა 55-60%-ია;
- საკვების გაფანტვის ასაცილებლად, 6-9 დღის ასაკში, საჭიროა ნისკარტის მოჭრა. სისხლდენის თავიდან ასაცილებლად, სასმელ წყალს უნდა დამატოს ვიტამინი k , რომელიც ხელს უწყობს სისხლის შედედებას;
- ნისკარტის მოჭრის უნდა მიეცეს წვრილად დაფქვილი საკვები.
- აუცილებელია, გუნდის ერთგვაროვნების კონტროლი, აწონვის გზით. საკვების შემადგენლობა და არა თანაზომიერად მიწოდება ზრდის არაერთგვაროვნებას.



ზრდის პერიოდი ფრინველის განვითარებაში უმნიშვნელოვანესი პერიოდია. სწორედ ამ დროს ყალიბდება ჩონჩხი და საჭმლის მომნელებელი სისტემა, რაც განაპირობებს ფრინველის შემდგომ პროდუქტიულობას. ეს პერიოდი მოიცავს 7-12 კვირას და ამ პერიოდში ცოცხალმა მასამ 900 გ-ს უნდა მიაღწიოს. 8 კვირის ასაკში საჭიროა გამოწუნებული ფრინველის გუნდიდან გამოყოფა და ცალკე მოთავსება. გალიური შენახვისას სუსტი ფრინველი უნდა მოვითავსოთ ზემო იარუსზე, რადგანაც იგი სინათლისა და სითბოს თვალსაზრისით, ყველაზე ხელსაყრელი ადგილია. საჭიროა, რომ გუნდში შენარჩუნდეს 80 %-იანი ერთგვაროვნება ე.ი. ყოველი 100 ფრთიდან 80 იყოს ერთი წონის. 10 მძიმე წონის, 10 ფრთა კი უფრო ნაკლები წონის. ამ ასაკის მიღწევის შემდეგ ფრინველის დაჯგუფება ძნელია და შედეგიც არასასურველია. არაერთგვაროვნების ძირითადი მიზეზი დასმის სიმჭიდროვის გაზრდა და საკვების არათანაბრად მიწოდებაა. ზრდის პერიოდში მათ ესაჭიროებათ 15,5-17% პროტეინი, 281-286 კკალ. სამიმოცვლო ენერგია. 0,95-1,05 % კალციუმი, 0,48% ფოსფორი.

დაიმახსოვრეთ:

- სხეულის წონა და ერთგვაროვნება უნდა იყოს სტანდარტის შესაბამისი;
- უნდა უზრუნველყოთ საჭმლის მომნელებელი სისტემის ნორმალური მუშაობა;
- მივცეთ საკმარისი რაოდენობის საკვები და სამომრავო ტერიტორია;
- დავიცვათ შენობაში ოპტიმალური მიკროკლიმატი;
- საკვებური უნდა დასუფთავდეს და მასში მუდამ იყოს ახალი საკვები;
- საკვები უნდა განაწილდეს თანაბრად და სწრაფად;

განვითარების პერიოდი განვითარების პერიოდი გრძელდება 12-17 კვირა, მიზანია მიღწეული იქნას 1270 გ ცოცხალი მასა. ამ პერიოდში კომბინირებულ საკვებში უნდა იყოს 14-15,5% ნედლი პროტეინი და 281-286 კკალ. ენერგია; კალციუმი 0,95-1,05%. ფოსფორი 0,46% . საკვები უნდა იყოს მდიდარი ამინომჟავებით. ენერგიის ნაკლებობა წონის მატებას შეუშლის ხელს. ენერგიის სიჭარბე კი პირიქით, საჭმელ მომნელებელ სისტემას დააწვება და კვერცხმდებლობის პერიოდში საკვებისა და კვერცხის ცირკულაციაზე ნეგატიურად აისახება.

ვინაიდან კვერცხდების პერიოდში ფრინველს ეზრდება მოთხოვნილება ენერგიით მდიდარ საკვებზე, ამიტომ ამ ეტაპზე, მათ უნდა მივაწოდოთ ისეთი საკვები, რომელიც ენერგიით არ იქნება მდიდარი. ნაადრევი სქესობრივი სიმწიფის თავიდან ასაცილებლად, დაცული უნდა იქნეს შეზღუდული კვების რეჟიმი, რისთვისაც საკვებში ამცირებენ ნედლი პროტეინის და ენერჯის ნორმას, ამავე პერიოდში ზრდიან ნედლი უჯრედანის შემცველობას ბალახის ფქვილის ულუფაში შეტანით.

დაიმახსოვრეთ:

- სტანდარტული წონის მისაღწევად, საჭიროა შენობაში სასურველი გარემოს შექმნა, სინათლის დიფერენცირებული რეჟიმის (სინათლის ხანგრძლიობის თანდათან შემცირება) გამოყენება.
- დღის განმავლობაში საკვების მიღებამდე, საკვებური უნდა იყოს ცარიელი;

კვერცხდების წინა პერიოდი გრძელდება 17 კვირის ასაკიდან კვერცხდების დაწყებამდე. 20 კვირის ასაკში შეიმჩნევა პირველი კვერცხდება დაახლოებით 1 %-ია. ამ პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფრინველის წონის კონტროლი და მათი საკვებით უზრუნველყოფა. სწორედ ამ დროს იწყებს ფრინველი კვერცხდებას და კვერცხის ნაჭუჭისათვის ძვლებში დაგროვილი კალციუმის გამოყენებას. იგი ამ პერიოდში თუ ვერ მიიღებს საჭირო რაოდენობის კალციუმს და სხვა ელემენტებს, მაშინ გამოიყენებს ორგანიზმში არსებულ მარაგს და ამით ჯანმრთელობას გაიუარესებს. ამ დროს საკვები მდიდარი უნდა იყოს პროტეინით, ფოსფორით, კალციუმით, მაგრამ საჭიროა მათ შორის თანაფარდობის დაცვა. კალციუმსა და ფოსფორს შორის შეფარდების დარღვევა იწვევს საკვების შეთვისების გაუარესებას. კვერცხდების დაწყების შემდეგ, თუნდაც ეს იყოს 1%-იანი კვერცხდება, აუცილებელია კალციუმის 2%-მდე გაზრდა. ეს პერიოდი ყველაზე საპასუხისმგებლოა, რადგან სარემონტო მოზარდი გადაგვყავს კვერცხმდებელთა შენობაში, რაც თავისთავად სტრესია, ამიტომ გადაყვანა უნდა მოხდეს კვერცხდების დაწყებამდე. ამ დროს ინტენსიურად ვითარდება მდედრობითი სასქესო ორგანოები. სასურველია, გადაყვანა მოხდეს 16 კვირის ასაკში, ამ დროს წონაში კლება შეიძლება იყოს 5-10 % ფარგლებში. 0,3-0,5 % მცირდება ორგანიზმის წყალი. ამიტომ როცა გადავიყვანთ ფრინველმა ჯერ წყალი უნდა მიიღოს, მერე საკვები. ამ პერიოდში ცოცხალი მასა იგივეა 1270გ. საჭიროა პროტეინი 14 -15,5%, ენერჯია 281-285კკალ. კალციუმი 2-2,1; ფოსფორი 0,46.



დაიმახსოვრეთ:

- საფრინველეში დაგვიანებული გადაყვანა უარყოფითად მოქმედებს პროდუქტიულობაზე;
- გააკონტროლეთ საკვებურის და საწყურვებლის მდგომარეობა;
- შეამოწმეთ საკვების და წყლის დღიური მოხმარება;
- დაიცავით საკვები გრანულის ზომები-3,2 მმ .
- ყურადღება მიაქციეთ საკვებში კალციუმის თანაბარ განაწილებას;

კვერცხდების პერიოდი

კვერცხდების მაქსიმალური რაოდენობა, ანუ პიკი მიიღწევა 22-30 კვირამდე, ამ დროს კვერცხდების ინტენსიობა 90% შეადგენს, ამ პერიოდში პროტეინის დღიური მოხმარება 19,5%, ხოლო საკვების 100 გ-ია. თუ კვერცხდების ინტენსიობა 70%-ია, მაშინ პროტეინი 17,5 %. დღეში

ერთ ფრთას აძლევენ 100გ საკვებს. მიმოცვლითი ენერგია 286 კკალ. ამ პერიოდში ცოცხალი მასა უნდა გაიზარდოს 400გ-ით ე.ი. კვერცხდების დაწყებისას თუ დედლის მასა 1170 გ იყო, პიკის დროს მისი მასა 1570 გ უნდა გახდეს. საკვების მოხმარებაც 20% უნდა გაიზარდოს და დღიურად ერთმა ფრთამ უნდა მიიღოს 100გ.

როგორ უნდა ვაკონტროლოთ საკვების მოხმარება: იგი დამოკიდებულია საკვების სტრუქტურაზე; საკვების მოხმარება საფრინველის განათების პროპორციულია. როდესაც ფრინველი 50% კვერცხდებას მიაღწევს, 16 საათიანი განათება იდიალურად ხელს უწყობს საკვების ათვისებას; საკვების ცვალებადობაზე ფრინველი განსაკუთრებით მგრძობიარეა. თუ ფრინველს არ მიეწოდა საკმარისი რაოდენობის საკვები, კვერცხის მასა იქნება პატარა; ერთი კვერცხის ნაჭუჭი შეიცავს 2,1 -2,2 გ კალციუმს, ქათამმა ყოველდღე კვერცხი რომ დადოს დღიურად უნდა მიიღოს საკვებიდან 2 ჯერ მეტი ე.ი. 4,2 -4,4 გ; სიცხეში საკვების მოხმარება მცირდება. ეს ფიზიოლოგიური მდგომარეობაა, როცა ტემპერატურა მატულობს, იზრდება მოთხოვნილება ენერგიაზე. +27 °C ზევით ყოველი 1 გრად. მომატება 1,4 გ ამცირებს საკვებზე მოთხოვნილებას, მცირდება კვერცხის მასაც. ოპტიმალური ტემპერატურა +18-20 °C -ია; სიცხეში ქათამს მადა ეკარგება, რის გამოც არ ღებულობს საკვებს და სვამს ბევრ წყალს, ამიტომაც საკვები უნდა მივცეთ ადრე დილით და საღამოს, როცა აგრილდება. კარგ შედეგს იძლევა ღამით კვება, რისთვისაც შუა ღამით საფრინველს გაანათებენ 1,5-5 საათით; სიცხეში წყალზე დღიური მოთხოვნილება ერთ ფრთაზე 300მლ. შეადგენს, წყლის მაღალი ტემპერატურა მასზე მოთხოვნილებას ამცირებს, რაც საკვების მოხმარებაზე ნეგატიურად აისახება. ამ დროს კარგ შედეგს იძლევა წყლის აუზში ყინულის დამატება. სასარგებლოა, 1 ლ. წყალზე 0,3 გრ. ასპირინის ფხვნილის, ან 1გრ. C ვიტამინის დამატება 1 ლიტრზე.

საკვებზე დღიური მოთხოვნილების ძირითადი ნორმატივები:

სასტარტო პერიოდში პირველ კვირას ერთ ფრთას ესაჭიროება 10გ; მეორე კვირას 17გ; მესამე-23; მეოთხე-29; მეხუთე-34; მეექვსე -39; მეშვიდე -43; ზრდის პერიოდში მერვე კვირას 47; მეცხრე კვირას -51; მეათე -54; მე- 11 კვირას 57; 12-60; განვითარების პერიოდში 13 კვირა-63; 14-67; 15-71; 16-75; 17-79; კვერცხდების წინა პერიოდი 18 კვირა-83გ. კვერცხდების პერიოდში 100გ საკვები.

დასმის სიმჭიდროვე:

- 1 კვმ-ზე იატაკზე შენახვისას 13 ფრთა; გალიაში -25 ფრთა.
- საკვების ფრონტი ერთ ფრთაზე 5 სმ. ერთ ცალ ჩამოსაკიდებელ საკვებურზე უნდა მოდიოდეს 25 ფრთა დედალი.
- ერთ წვეთოვან საწყურვებელზე 12 ფრთა.

